**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2/021019/1**

**ხელშეკრულების დამდები მხარეები** **2 ოქტომბერი, 2019 წელი**

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ზვიად პაპიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ # 204525585, სახელმწიფო ხაზინა, კოდი # TRESGE22; ანგარიში/სახაზინო კოდი GE24NB0330100200165022

**(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)**

და მეორეს მხრივ **შპს „ნეოტექი“** (შემდგომში მიმწოდებელი), მისი დირექტორის იგორი ფარჯიანის სახით, იურიდიული მისამართი ქ.თბილისი ბოხუს ქუჩა N4, ტელ:2518881 ს/კ 206201698, სს „ტერა ბანკი“, **TEBAGE22, GE69KS0000000360205001**

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

**1. ხელშეკრულების ღირებულება**

შემსყიდველმა გამოაცხადა **საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფი“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე ახლად აშენებული ფეხით მოსიარულეთა გვირაბებში სათვალთვალო სისტემის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) (CPV35125000 )** შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი (**NAT190018012)** და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი **20`990.00 (ოცი ათს ცხრაას ოთხმოცდაათი ლარი და 00 ტეთრი)** ლარად.

**2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1.საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი №1 და დანართი N2-ის შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

2.3.ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი.

**3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები**

3.1 შესყიდვის ობიექტია **საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფი“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე ახლად აშენებული ფეხით მოსიარულეთა გვირაბებში სათვალთვალო სისტემის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) შესყიდვა,** რომლის დასახელებებიც, რაოდენობების, ერთეულის ფასების, ტექნიკური მახასიათბლების, წარმოშობის ქვეყნის, მწარმოებელი ფირმისა და მოდელის მითითებით თან ერთვის ხელშეკრულებას დანართი N1-ის და დანართი N2-ის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

**4. საქონლის მიწოდების პირობები**

4.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების დანართი N1-ში მოცემული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

4.2. საქონლის მიწოდების ადგილი განსაზღვრულის ხელშეკრულების დანართ N1- ში.

4.3. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო.

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა საქონლის მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა სათანადო ხარისხის საქონლით, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადებები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

5.5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

**6. ანგარიშსწორება**

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, ყოველი კონკრეტული სისტემის მოწყობის შემდეგ.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.4. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედდებულებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**7. მხარეთა ვალდებულებები**

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა 3 (სამი) დღის ვადაში;

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5.დროულად განიხილოს “შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

**8. მხარეთა უფლება**

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

8.2.2.. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

**9. გარანტია**

შემოთავაზებულ სისტემაზე (ასევე კამერებზე, ჩამწერებზე, ქსელურ კომუტატორზე, მყარ დისკზე და ქსელის კაბელზე ) ვრცელდება გარანტია 2 (ორი) წლის ვადით, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან. რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს ნაკლოვანი საქონლის შეკეთებას ან/და შეცვლა ახლით.

**10. ფორს-მაჟორი**

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**11. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა**

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**12. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

**14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

14.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის საქონლის მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.3.შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.4. იმ შემთხვევაში თუ ამ მუხლის 14.1 და 14.3 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ღირებულება ნაკლები იქნება 50 ლარზე, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

14.5. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების დანართი N1-ით და დანართი N2-ით განსაზღვრული სისტემის გავართვის დროს გამოვლინდა, რომ აღნიშნული სისტემა და მაკომპლექტებელი ნაწილები არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით და დანართი N2-ით განსაზღვრულ მახასიათებლებს, მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 15%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

**15. ხელშეკრულების შეწყვეტა**

15.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

15.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

15.1.2 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა ხელშელრუკრულების მე-8 მუხლით განსაზღვრული ვადისა.

| „შემსყიდველი“<br>სსიპ „შემოსავლების სამსახური” | „მიმწოდებელი“<br>შპს“ნეოტექი“ |
|---|---|
| _____ | _____ |
| ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილეობის<br>შემსრულებელი<br>ზვიად პაპიძე | იგორი ფ[illegible]<br>დირექტორი |

Neoteki LLC Digitally signed by Neoteki LLC Date: 2019.10.02 17:21:22 +04'00'

***დანართი N1***

| N | შესყიდვის ობიექტის  დასახელება | ღირებულება (ლარი) | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ვიდეოსათვალთვალო სისტემა (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) | 20,990.00 | სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფი“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე ახლად აშენებული ფეხით მოსიარულეთა გვირაბები | საქონლის მიწოდება - მონტაჟი განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან  50 (ორმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში |

*** შენიშვნა: შემოთავაზებული ქსელური ვიდეო კამერა და ქსელური ვიდეო ჩამწერი თავსებადია  შემოსავლების სამსახურში არსებულ პროგრამულ უზრუნველყოფა "IVMS-4200" -თან.**

დანართი N2

| № | შესყიდვის ობიექტის დასახელება | შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები | წარმოშობის ქვეყანა/ მწარმოებელი კომპანია/მოდელი (ასეთის არსებობის შემთახვევაში) | განზ. | რა-ბა | ერთეულის ღირებულება ლარი | ჯამური ღირებულება ლარი | საგარანტიო პირობა | მიწოდების ვადები და ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ა ტიპის ვიდეო კამერა ფიქსირებული ლინზით | გარჩევადობა 4MP (2688x1520), მატრიცა 1/3 CMOS მატრიცა პროგრესული სკანირებით, მინიმალური განათება 0.018 Lux, 0 lux ინფრაწითელი განათების შემთხვევაში, ჰორიზონტალური გაშლის კუთხა 103°, ელექტრონული ჩამკეტის სიჩქარე: 1/3-1/100000, ციფრული ხმაურის კორექცი: 3D DNR, WDR 120dB, ვიდეო კომპრესია: H.264/H.264+/M-JPEG/H.265+ , ქსელური პროტოკოლები: TCP/IP, ICMP, HTTP, HTTPS, FTP, DHCP, DNS, DDNS, RTP, RTSP, RTCP, PPPoE, NTP, UPnP™, SMTP,SNMP, IGMP, 802.1X, QoS, IPv6, Bonjour , NAS-ის მხარდაჭერა NFS,SMB/CIFS, ANR, ONVIF,ISAPI მხარდაჭერა, გააჩნია მეხსიერების ბარათის მხარაჭერა Micro SD/SDHC/SDXC slot, up to 128 GB, სამუშოა ტემპერატურა:-30 °C ~ 60 °C დიაპაზონის, კვება: 12v DC, POE 802.3af, კორპუსის დაცვა: IP67 IK10, ინფრაწითელი განათების დისტანცია - 30 მ, გააჩნია BLC/3D DNR/HLC მხარდაჭერა; გააჩნია დღე-ღამის რეჟიმის შეცვლა, ავტომატური ინფრაწითელი დიაპაზონის ფილტრი; გააჩნია ხაზის გადაკვეთის დეტექცია და სახის დეტექცია; გააჩნია ქარხნული სამაგრი ფეხი. | ჩინეთი/Hikvision/DS-2CD2143G0-I DS-1280ZJ-DM18 | ცალი | 10 | 440 | 4,400.00 | შემოთავაზებულ სისტემაზე (ასევე კამერებზე, ჩამწერებზე, ქსელურ კომუტატორზე, მყარ დისკზე და ქსელის კაბელზე ) ვრცელდება გარანტია 2 (ორი) წლის ვადით, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან. რომლის განმავლობაშიც უზრუნველყოფთ ნაკლოვანი საქონლის შეკეთებას ან/და შეცვლა ახლით. | საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 50(ორმოცდაათი) კალნედარულ დღეში, მის: საბაჟო გამშვები პუნქტი სარფის, მიმიდებარე ტერიტორია |
| 2 | ბ ტიპის ვიდეო კამერა ვარიფოკალური ლინზით | გარჩევადობა 4MP 2560 × 1440 @ 30fps, მატრიცა 1/1.8 CMOS მატრიცა პროგრესული სკანირებით, მინიმალური განათება 0.002 Lux, 0 lux ინფრაწითელი განათების შემთხვევაში, ჰორიზონტალური გაშლის კუთხე მოიცავს 109.2 °- 38.9° დიაპაზონს, კამერას გააჩნია სწრაფი ფოკუსის ტექნოლოგიის მხარდაჭერა; კამერას გააჩნია ფოკუსის კონტროლის 3 რეჟიმი: ავტომატუტი, ნახევრად ავტომატური და ხელით მართვა, ელექტრონული ჩამკეტის სიჩქარე: 1 s to 1/100,000 s, ციფრული ხმაურის კორექცია: 3D DNR,WDR 140dB, ვიდეო კომპრესია : H.264/H.265+ , ქსელური პროტოკოლები:TCP/IP, ICMP, HTTP, HTTPS, FTP, SFTP, DHCP, DNS, DDNS, RTP, RTSP, RTCP, PPPoE, NTP, UPnP, SMTP, SNMP, IGMP, 802.1X, QoS, IPv6, UDP, Bonjour, SSL/TLS მხარდაჭერა, გააჩნია მეხსიერების ბარათის მხარაჭერა Micro SD/SDHC/SDXC slot, up to 256 GB,ANR, გააჩნია BLC, HLC, 3D DNR, Defog, EIS, distortion correction მხარდაჭერა; ICR შეიცავს ლურჯი მინის მოდულს, გააჩნია სახის ამოცნობის ფუნქცია: ერთდროულად 30 სახის ამოცნაბა; გააჩნია მიტოვებული ბარგის გამოვლენა 4 კონფიგურირებადი რეგიონის მხარდაჭერით; შეუძლია სცენის ცვლილების გამოვლენა, აუდიო გამონაკლისის გამოვლენა, დეფოკუსის აღმოჩენა; გააჩნია P-iris მხარდაჭერა; სამუშოა ტემპერატურა:-30 °C ~ 60 °C, კვება: 12v DC, POE 802.3af, კორპუსის დაცვ: IK10 (IEC 62262:2002), ინფრაწითელი განათების დისტანცია - 30მ, გააჩნია დღე-ღამის რეჟიმის შეცვლა, ავტომატური ინფრაწითელი ფილტრი. | ჩინეთი Hikvision DS-2CD7146G0-IZS | ცალი | 4 | 1500 | 6,000.00 | | |
| 3 | ქსელური კომუტატორი | 8 10/100Mbps RJ45 POE და 2 -1000M Combo პორტი, სტანდარტები IEEE802.3,802.3u,802.3x, 802.3af, 802.3at, Backplane bandwidth 5.4 Gbps, POE ბიუჯეტი 123 W, POE სტანდარტები IEEE802.3af, IEEE802.3at, ძაბვის მიწოდება შესაძლებელია 250 მ. გააჩნია VLAN-ის კონფიგურაციის მხარდაჭერა. | ჩინეთი Hikvision DS-3E1310P-E | ცალი | 2 | 520 | 1,040.00 | | |
| 4 | ვიდეო ჩამწერი მოწყობილობა (NVR) | 16 არხიანი ვიდეო რეგისტრატორი, შემომავალი/გამავალი ტრაფიკი 576 Mbps, HDMI ვიდეო გამოსასვლელი: 4K (3840 × 2160)/60Hz, 4K (3840 × 2160)/30Hz, 2K (2560 × 1440)/60Hz, 1920 × 1080/60Hz, 1600 × 1200/60Hz, 1280 × 1024/60Hz, 1280 × 720/60Hz, 1024 × 768/60Hz რეზოლუციით და 1 აუდიო გამოსასვლელი RCA (Linear, 1 KΩ) , განგაშის შესასვლელი/გამოსასვლელი 16/8, გააჩნია კოდირების H.265/H.265+/H.264/H.264+/MPEG4 მხარდაჭერა, 12 მეგაპიქსელიანი კამერების მიერთების და ჩაწერის საშუალება, გააჩნია 4 სატა ინტერფეისი, თითოეულზე 10 ტერაბაიტი მყარი დისკის მხარდაჭერით, გააჩნია 1 eSATA ინტერფეისი, გააჩნია 2 ქსელის ინტერფეისი 2 RJ-45 10/100/1000Mbps self-adaptive Ethernet interfaces, გააჩნია 2xUSB 2.0 და 1xUSB 3.0; გააჩნია VCA(Video Content Analytics) მხარდაჭერა, გააჩნია 'Smart search for the selected area in the video; and smart playback' მხარდაჭერა, გააჩნია სახის სურათების 16 ბიბლიოთეკის მხარდაჭერა, 100000 სურათისა. გააჩნია სურათით ძებნის მხარდაჭერა. | ჩინეთი Hikvision iDS-7716NXI-I4/X(B) | ცალი | 1 | 5035 | 5,035.00 | | |
| 5 | მყარი დისკი | 8 TB გათვლილი ვიდეო-სამეთვალყურეოს სიტემაში გამოსაყენებლად 24/7 რეჟიმში | ტაილანდი Seagate ST8000VX0002 | ცალი | 4 | 900 | 3,600.00 | | |
| 6 | ქსელის კაბელი | UTP Cat 5e სპილენძი100% | იტალია Elan UTP CAT5e 4x2x24AWG | მეტრი | 610 | 1.5 | 915.00 | | |
| | | *სულ ჯამი:* | | | | | 20,990.00 | | |

**შენიშვნა: სამონტაჟო სამუშაოები მოიცავს სახარჯი მასალების ღირებულებას. შემოთავაზებული ქსელური ვიდეო კამერა და ქსელური ვიდეო ჩამწერი თავსებადია შემოსავლების სამსახურში არსებულ პროგრამულ უზრუნველყოფა "IVMS-4200" -თან.*

Neoteki LLC

Digitally signed by Neoteki LLC
Date: 2019.10.02 17:21:42 +04'00'